



სამართლიანი არჩევნები

10:00 საათი, 2 ოქტომბერი, 2011

განცხადება

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) აკვირდება 2011 წლის 2 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებს თელავის #17 საარჩევნო ოლქში.

„სამართლიანი არჩევნები“ არჩევნების მიმდინარეობას 40 უბნის დამკვირვებლისა და 2 მობილური ჯგუფის მეშვეობით ახორციელებს.

ორგანიზაციის ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ დროისათვის გახსნილია ყველა საარჩევნო უბანი. „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამომრჩეველთა საერთო ოდენობა კენჭისყრის დაწყების მდგომარეობით შეადგენს 56 906 ამომრჩეველს, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, ამომრჩეველთა ოდენობა წარმოადგენს 56 898 მოქალაქეს.

ამ დროისათვის პრობლემები შეინიშნება სოფელ ყარაჯალას #38, #37 საარჩევნო უბნებზე, სადაც ამომრჩეველთა უმრავლესობა ვერ ახერხებს ქართულ ენაზე დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების მეშვეობით ხმის დამოუკიდებლად მიცემას. საარჩევნო კაბინებში შესულ ამომრჩევლებს დახმარებას უბანზე მისული ქართული ენის მცოდნე ამომრჩევლები უწევენ, ხოლო კომისიის წევრები არაქართულენოვან ამომრჩევლებს აზერბაიჯანულ ენაზე აწვდიან ინფორმაციას საარჩევნო სუბიექტებისა და ხმის მიცემის პროცედურების თაობაზე. ყოველივე ეს იწვევს ხმის მიცემის პროცედურების ქაოტურ და არაორგანიზებულ რეჟიმში წარმართვას.

„სამართლიანი არჩევნები“ კენჭისყრის დღის მიმდინარეობის თაობაზე დამატებით ინფორმაციას საჭიროების შემთხვევაში გამოაქვეყნებს. კენჭისყრის დასრულებისთანავე ორგანიზაცია წარმოგიდგენთ არჩევნების დღის მიმდინარეობის პირველად შეფასებებს.

„სამართლიანი არჩევნების“ სადამკვირვებლო მისია ფინანსურად მხარდაჭერილია „ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) მიერ

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის
საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი
შარტავას ქ. 18

ტელ: (995 32) 2 370 814

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge